



საქართველო-უკრაინის ურთიერთობები ომის დროს: 4 შეცდომა, რომელიც ოფიციალურმა თბილისმა აღარ უნდა გაიმეოროს

ნინო სამხარაძე¹

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად განვითარებული პროცესები - გეოპოლიტიკური ცვლილებები შავი ზღვის რეგიონსა და უფრო ფართო დასავლეთში (The Economist 2022; ლებანიძე 2022) - პირდაპირ კავშირშია საქართველოს უსაფრთხოების გარემოსთან და ევროინტეგრაციასთან. რუსეთ-უკრაინის ომის თითქმის ყველა სცენარში თბილისის წინაშე სხვადასხვა რისკები არსებობს (GIP 2022). ამიტომ საქართველოსთვის ახლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უკრაინასთან კარგი ურთიერთობების არამხოლოდ შენარჩუნება, არამედ გააქტიურება, რათა ეს რისკები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ამის საპირისპიროდ, ბოლო დროს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა. თავდაპირველად, საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა ნაკლებად იძლეოდა იმედს, რომ სიტუაცია განმუხტვას დაექვემდებარებოდა. თუმცა, ქართული საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი, რომელიც უკრაინაში 15 აპრილს შედგა, მნიშვნელოვანი წინსვლაა ამ გზაზე.

ამ ეტაპზე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ რამდენიმე მნიშვნელოვან შეცდომაზე, რომელიც აქამდე საქართველოს მმართველმა პოლიტიკურმა ელიტამ დაუშვა. ეს შეცდომები, თავის მხრივ, ქვეყნისთვის შეიძლება, პრობლემატური იყოს არაერთი მიმართულებით. წარმოდგენილ პოლიტიკის მემორანდუმში გაანალიზებულია მთავრობის რიტორიკა და ქვეყა რუსეთის შეჭრის დღიდან უკრაინაში საქართველოს დელეგაციის ვიზიტამდე (2022 წლის 24 თებერვლიდან 15 აპრილამდე). დოკუმენტი მკითხველს სთავაზობს დისკუსიას, თუ რატომ დაიძაბა ორ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს შორის ურთიერთობა რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში, რა ვერ გათვალა თბილისმა უკრაინასთან ურთიერთობებში რუსეთის შეჭრიდან თითქმის ორი თვის განმავლობაში და რა საზიანო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ შეცდომებს საქართველოსთვის.

¹ უმცროსი პოლიტიკის ანალიტიკოსი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

კონტექსტის ანალიზი: საქართველო ახალი უკრაინული დიპლომატიის პირისპირ ომის დროს

მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა (CNN 2022), პოლიტიკური ელიტა კიევში, სამხედრო თავდაცვითი მოქმედების პარალელურად, ინტენსიური დიპლომატიის ახალ სტანდარტებს ქმნის (Adams 2022). უკრაინელი პოლიტიკოსები აქტიურად ახორციელებენ წნეხს დასავლელ აქტორებზე, რათა რუსეთის სამხედრო შეტევის მოგერიებაში მათ მაქსიმალურ ჩართულობას მიაღწიონ. ამგვარად, კიევში ჩამოყალიბდა აგრესიული დიპლომატიის ერთგვარი განახლებული ფორმულა: მაქსიმალური წნეხი მაქსიმალური სარგებლისთვის.

ამგვარი დიპლომატია განსაკუთრებით ვრცელდება სტრატეგიულ პარტნიორებზე - დასავლეთთან ერთად, თბილისზეც. საქართველოს მხრიდან უკრაინის მხარდამჭერი აქტივობები მოიცავდა არაერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას: საქართველოს საელჩო ომის დაწყების პირველივე დღიდან კიევში მუშაობას დაიწყო შეუჭრებლად აგრძელებს (MFA of Georgia 2022). ამავდროულად, თბილისი გლობალურ დონეზე რეგულარულად აფიქსირებს უკრაინის მხარდამჭერ ოფიციალურ პოზიციას. მათ შორის, უკანასკნელია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ადამიანის უფლებების საბჭოში რუსეთის მონაწილეობის შეჩერებისთვის ხმის მიცემა (UN News 2022). განუწყვეტლივ ხდება ჰუმანიტარული ტვირთის მობილიზება და ამ მხრივ საქართველო მოწინავეა ბელგიასთან და რუმინეთთან ერთად (Radiotavisupleba 2022b).

თუმცა, უკრაინაში თბილისისგან მხარდაჭერის მეტი მოლოდინი არსებობდა (Jones 2022; Sheils 2022). ამიტომ, კიევში მიიღეს ისეთი ზომები, როგორცაა ელჩის ჯერ კონსულტაციებისთვის გაწვევა (Radiotavisupleba 2022a) და შემდეგ გათავისუფლება (Zelenskyi 2022b), ან პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის და სხვა უკრაინელი პოლიტიკოსების მიმართების მწვავე ტონი ოფიციალური თბილისის მიმართ. კულმინაციურ წერტილად უნდა მივიჩნიოთ უკრაინის დაზვერვის სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც რუსეთი საქართველოს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტრაბანდისტულ დერეფნად იყენებს (Civil.ge 2022). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, მთავრობა უკრაინას უფრო ძლიერად უნდა ეხმარებოდეს (CRRC Georgia 2022), ამ უკანასკნელმა საკითხმა საზოგადოების ნაწილში გარკვეული კითხვის ნიშნები გააჩინა უკრაინული მხარის ობიექტურობის მიმართაც. ამას ისიც ემატება, რომ თბილისში რეაგირებისთვის ურთიერთბრალდების სტრატეგია იქნა არჩეული (მდინარაძე 2022b). ეს ტონი შენარჩუნდა მაშინაც კი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა უკრაინული რადას თავმჯდომარისგან უკრაინაში ვიზიტის მოწვევა მიიღო (კობახიძე 2022b; მდინარაძე 2022c). იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კიევის მიმართ გზავნილების თბილისში არჩეული ფორმა კონფრონტაციის შერბილებას ხელს ვერ უწყობს.

ამგვარად, საქართველოს მმართველი ელიტისთვის რთული აღმოჩნდა, უკრაინული დიპლომატიის წნეხისთვის რაციონალურად თავის გართმევა: ურთიერთბრალდებების

ფონზე, კიევსა და თბილისს შორის საჯარო კომუნიკაციამ, შეიძლება ითქვას, კონფრონტაციული ხასიათი შეიძინა. სწორედ ამიტომ რჩება შთაბეჭდილება, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საერთაშორისო არენაზე და ჰუმანიტარული თვალსაზრისით ძლიერ მხარდაჭერას აფიქსირებს უკრაინის მიმართ, ეს არასაკმარისია როგორც კიევში, ისე ქართული საზოგადოების თვალში.

ურთიერთობები ომში მყოფ სტრატეგიულ პარტნიორთან: შეცდომები და შედეგები

საქართველოსთვის შეიქმნა მოცემულობა, როდესაც ქვეყნის უპირველესი მტერი სახელმწიფო თავს დაესხა ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორს. ამ კონტექსტში, თბილისში იყო მცდელობა, რომ დაბალანსებული რეაგირება პრაგმატული პოლიტიკის და ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნების სტრატეგიის საფუძველი ყოფილიყო. თუმცა წარმოიქმნა საშიშროება, რომ ეს, შეიძლებაოდა, ქვეყანას სტრატეგიული პარტნიორის მიტოვების და დაკარგვის ფასად დასჯდომოდა (Kakhishvili 2022). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს დელეგაციის ვიზიტი უკრაინაში ორ ქვეყანას შორის დამაბული ურთიერთობების ერთგვარ გადატვირთვას შეუწყობს ხელს. ამ მხრივ, ქართული პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯია, რაც, შესაძლოა, ომის კონტექსტში წყალგამყოფი ფაქტიც იყოს დაზიანებული ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის.

თუმცა, საქართველოს ხელისუფლების მოქმედებების და განცხადებების ნარატიული ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია, გამოვკვეთოთ ოთხი ძირითადი შეცდომა, რაც თბილისმა უკრაინასთან ურთიერთობებში დაუშვა და, შესაბამისად, ოთხი დამაზიანებელი შედეგი, რისი საფრთხის წინაშეც ქვეყანა უკრაინაში ვიზიტამდე შეიძლებოდა დამდგარიყო.

- *შეცდომა 1: არაინტენსიური კომუნიკაცია და საქართველო, როგორც განზე გამდგარი პარტნიორი*

პირველი და ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი შეცდომა საქართველოს მმართველი პოლიტიკური ელიტის მხრიდან იყო ის, რომ ომის დაწყების დღიდან მაღალი რანგის პოლიტიკოსებს არ ჰქონდათ საკმარისად ინტენსიური პირდაპირი კომუნიკაცია არც უკრაინის, არც დასავლურ პოლიტიკურ ელიტასთან, როგორც ეს სტრატეგიული პარტნიორების შემთხვევაში უნდა ხდებოდა. შედეგად, კი საქართველო თითქოს ჩამოშორდა როგორც საკუთრივ უკრაინის კონტექსტს, ისე უკრაინის გარშემო საერთოდასავლურ მობილიზებას.

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, რომელიც სოციალურ ქსელში აქტიურად აქვეყნებს გლობალურ ლიდერებთან კომუნიკაციის ანგარიშებს, საქართველოსთან მაღალი დონის კომუნიკაციის შესახებ, ფაქტობრივად, არ საუბრობს (Zelenskyi 2022a). ასეთი დონის კომუნიკაცია ომის დაწყებიდან მალევე შედგა მხოლოდ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან (Zourabichvili 2022), რაც სასარგებლო ნაბიჯია, თუმცა, გამომდინარე პრეზიდენტის სტატუსიდან ქართულ პოლიტიკურ სისტემაში, პოლიტიკურად საკმარისი არაა. ამასთან, პრეზიდენტი ზურაბიშვილი, ბოლო დროს, მმართველი პარტიის მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა უკრაინის შესახებ დასავლური ტურნეს ორგანიზებისთვის კონსტიტუციური შეუსაბამობის საბაზით² (სამხარაძე 2022).

ამას ისიც დაემატა, რომ ქართულმა მხარემ, თავდაპირველად, ყოყმანითა და ურთიერთბრალდების ტონით უარყო კიევის მიერ ბუჩაში სხვა ევროპელ ლიდერებთან ერთად მიწვევა: პირველ ეტაპზე, მმართველ პარტიაში ითქვა, რომ საქართველოს ასეთი მიწვევა არ მიუღია (Tabula 2022), შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის სავარაუდო ავადმყოფობა გაჟღერდა (ქადაგიშვილი 2022), ბოლოს კი ქართულმა მხარემ უკრაინისგან გარკვეული პირობების დაკმაყოფილება მოითხოვა, რათა ვიზიტი შემდგარიყო (მდინარაძე 2022c). ეს ჟესტი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მმართველი პარტია, ვიწროპარტიული ინტერესის გამო, შეგნებულად ამბობდა უარს უკრაინის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარდამჭერი მოქმედების განხორციელებაზე, მაშინ, როდესაც დასავლელი ლიდერები ამას დემონსტრაციულად და ინტენსიურად აკეთებდნენ.

მართალია, საქართველოს დელეგაციის ვიზიტი უკრაინაში საბოლოოდ შედგა (GPB 2022), თუმცა ფაქტია, რომ, რაღაც ეტაპზე, ქვეყანამ დაკარგა შესაძლებლობა, ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ევროპელი ლიდერების ვიზიტების პარალელურად, მათთან თანხვედრაში მიეღო (Zelenskyi 2022c). შედეგად, ეს იქნებოდა ძლიერი გზავნილი, რომ თბილისი ერთობლივი ევროპული მობილიზების აქტიური ნაწილია. ამ შეცდომის შედეგად, საქართველო, თითქოს ეთიშება საერთო დასავლურ სოლიდარობას უკრაინასთან მიმართებით და აზიანებს პერსპექტივას, რომ ქვეყანა დასავლური პოლიტიკური სივრცის სრულფასოვანი ნაწილი გახდეს. ბრიუსელში თანდათან იქმნება თბილისის, როგორც განზე გამდგარი, არასანდო მოკავშირის იმიჯი (ვონ კრამონი 2022), და ხდება ურთიერთობების გაცემა სტრატეგიულ პარტნიორებთან (კაკაჩია 2022). ეს კი დამატებით დაბრკოლებებს ქმნის იმ ფონზე, რომ საქართველომ, უკრაინის კვალდაკვალ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის შესახებ განაცხადი ფორსმაჟორულ რეჟიმში შეიტანა და ახლა ევროინტეგრაციული მიმართულებით უპრეცედენტო წინსვლას ელოდება (RFE/RL 2022).

ამგვარად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინულ პოლიტიკურ ელიტასთან პირდაპირი კონტაქტი შეინარჩუნოს და გააძლიეროს უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ახალდანიშნულ

² მმართველმა პარტიამ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ საკონსტიტუციო დავის წამოწყება დააანონსა მის მიერ მთავრობის ნებართვის გარეშე განხორციელებული ვიზიტების გამო ევროპის ქვეყნებში, სადაც ზურაბიშვილმა მაღალი დონის ორმხრივი შეხვედრები გამართა და აქტიურად აცნობდა ავტორიტეტულ დასავლურ მედიას საქართველოს პოზიციონირებას უკრაინის ომის კონტექსტში.

საგარეო საქმეთა მინისტრს (MFA of Georgia 2022b), რომლის მოკლე პერსონალური კომუნიკაცია უკრაინელ კოლეგა დმიტრო კულებასთან ჯერ კიდევ დამაბული ურთიერთობების ფონზე შედგა (Darchiashvili 2022). ასევე, დროა, რომ თბილისმა გაააქტიუროს დასავლელ პარტნიორებთან უშუალო კომუნიკაცია, რომლებიც უპრეცედენტო დახმარებას უწევენ კიევს. მნიშვნელოვანია, საქართველო არ ჩამოშორდეს ინტენსიურ პირდაპირ ინტერაქციას როგორც უშუალოდ უკრაინასთან, ისე მის გარშემო რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში მობილიზებულ კოლექტიურ დასავლეთთან.

▪ *შეცდომა 2: კონფრონტაციული ტონი და დაზიანებული ურთიერთობები უკრაინასთან?*

მეორე შეცდომად, რომელსაც მმართველი პარტიის წევრები უკრაინის მიმართ უშვებდნენ, შეიძლება, მივიჩნიოთ კონფრონტაციული ტონი. ომში მყოფი უკრაინის ახალი აგრესიული დიპლომატიის საპასუხოდ, რომელსაც კიევი საერთაშორისო პარტნიორებთან მიმართებით იყენებს მაქსიმალური მხარდაჭერის მისაღებად, თბილისი, უმეტეს შემთხვევებში, ურთიერთბრალდებების და დამატებითი კონტრ-მოთხოვნების პოლიტიკას ირჩევს. პოზიციის დაფიქსირებისას საქართველოს მთავრობა შესამჩნევად აგრესიულია, რაც შეუსაბამოა იმ ქვეყანასთან ურთიერთობისას, რომელიც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და ომშია საქართველოს უმთავრეს მტერ სახელმწიფოდ მიჩნეულ რუსეთთან.

მმართველი პოლიტიკური ელიტის ეს ხარვეზი გამოიკვეთა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პირველივე საჯარო განცხადებაში სანქციების შესახებ. ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ჟურნალისტებთან გაკეთებული კომენტარი ომის დაწყებიდან მეორე დღეს საკმაოდ მკვეთრად ჟღერდა: *„მინდა მკაფიოდ განვაცხადო და ერთმნიშვნელოვნად, რომ საქართველო ჩვენი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით არ აპირებს, მონაწილეობა მიიღოს ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებში“* (ღარიბაშვილი 2022a). ამას დაემატა რიგი სიმბოლური ქესტებისა ქართული პოლიტიკური ელიტის მხრიდან: პრეზიდენტის და ოპოზიციის პარლამენტის საგანგებო სხდომის ინიციატივის უგულვებელყოფა (პაპუაშვილი 2022a), პრეზიდენტის მიერ პარლამენტში უკრაინის ელჩის მოყვანის გაკრიტიკება რეგლამენტის საბაზით (მდინარაძე 2022a), პრეზიდენტ ზელენსკის პარლამენტში ჩართვის³ იდეაზე უარის თქმა (პაპუაშვილი 2022b). ამავდროულად, ნეგატიურ და უადგილო გზავნილად იქცა ისეთი სენსიტიური განცხადებები, როგორიცაა ის, რომ *„უკრაინა დაისაჯა“* ომით (ღარიბაშვილი 2022b), [უკრაინის პოზიცია] *„არის ერთადერთი რამის გამოხატულება, საქართველოს ჩათრევა უნდათ ომში“* (კობახიძე 2022a), *„სანქციები მაინც არ არის ეფექტური“* (ღარიბაშვილი 2022c) და ა.შ.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დამაბვამ განსაკუთრებით საშიშ ზღვარს მიაღწია, როცა უკრაინის ვიცე-პრემიერმა ირინა ვერემშჩუკმა გააჟღერა უკრაინული დაზვერვის ინფორმაცია,

³ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტებისადმი მიმართვა საკმაოდ ინტენსიურ პრაქტიკად იქცა სხვადასხვა ქვეყნებისთვის. ომის დაწყების დღიდან პრეზიდენტ ზელენსკის ონლაინ მიმართვა განხორციელდა მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის პარლამენტში (President of Ukraine 2022).

რომლის მიხედვითაც საქართველო მონაწილეობს რუსეთისკენ ორმაგი დანიშნულების სანქცირებული პროდუქტების გატარებაში (Civil.ge 2022). ეს განცხადება უკრაინული მხარისგან გამოთქმული ყველაზე მძიმე ბრალდება იყო, რადგან, შესაძლოა, ამგვარი რამ საზოგადოებამ (როგორც საერთაშორისომ, ისე ადგილობრივმა) განიხილოს, როგორც საქართველოს მხრიდან რუსეთისთვის უკრაინის წინააღმდეგ ომში უშუალო დახმარება.

საქართველოს ხელისუფლების და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ამ საკმაოდ მძიმე ბრალდების მყისიერი უარყოფა მოხდა (MOF of Georgia 2022; SSG 2022), რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის დაცვისთვის. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კიევს ასევე მძიმე და სენსიტიური განცხადებებით უპასუხა, მაგალითად იმის შესახებ, რომ „[ნაციონალური მოძრაობის წევრები] კარგად თუ დაეხმარებიან [უკრაინის ხელისუფლებას], ასწავლიან როგორ ხდება გვამების შემოღება უკრაინაში“ (ოხანაშვილი 2022). ეს მაშინ, როდესაც უკრაინა ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ბუჩაში რუსების მიერ დატრიალებული შემზარავი ხოცვა-ჟლეტა არ არის უკრაინელების ინსცენირება და რუსეთი ომის დამნაშავეა (Browne, Botti & Willis 2022). გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო თავად იბრძვის საერთაშორისო სამართლებრივ ასპარეზზე 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის მიერ ჩადენილი ომის დანაშაულების დასამტკიცებლად, თბილისის ერთადერთი სწორი პოზიცია უნდა ყოფილიყო უკრაინის შეთანხმებული მხარდაჭერა ამ საკითხში.

საქართველოს მმართველი პოლიტიკური ელიტის ამგვარი კონფრონტაციული მიდგომა კიევს აგრესიული დიპლომატიის საპასუხოდ, გარკვეულ ეტაპზე, აჩენდა საშიშროებას, რომ თბილისმა, შესაძლოა, დაწვას ხიდეები უკრაინასთან ურთიერთობებში. თავისთავად, საქართველოსთვის ამგვარ რელსებზე დარჩენა ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობებს მხოლოდ გააუარესებს. უკრაინასთან, რომელიც ომის პირობებში ანგარიშგასაწევ ვეროპულ მოთამაშედ ყალიბდება შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურაში, მჭიდრო ურთიერთობები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს უსაფრთხოების გარემოსთვის. საქართველოს დელეგაციის ვიზიტის შემდეგ ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ერთ-ერთი, რაც თბილისმა უნდა გააკეთოს, არის უკრაინულ პოლიტიკურ ელიტასთან მუშაობა ელჩის დაბრუნებაზე, რადგან ორი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მომენტში საქართველოში უკრაინის ელჩის არყოფნა არ გვამლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ორ კიევსა და თბილისს შორის „გაუგებრობები“ აღარ არსებობს (Radiotavisuplena 2022c).

- *შეცდომა 3: შიშის ფაქტორი, რომელიც საქართველოს ადვილად მანიპულირებად აქტორად აქცევს*

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დღიდან საქართველოს მმართველ ელიტაში მუდმივად ისმის, რომ „ქართული ოცნება“ არ დაუშვებს საქართველოში ომის დაწყებას და მოსახლეობისთვის მშვიდობას პრაგმატული პოლიტიკით უზრუნველყოფს (ღარიბაშვილი

2022d). ერთი შეხედვით, ეს მიდგომა ქვეყნისთვის სასიკეთო რიტორიკად ჟღერს, თუმცა ხშირად ჩნდება შეგრძნება, რომ თბილისის „პრაგმატული პოლიტიკა“, ძირითადად, დაფუძნებულია არა გონივრულ სიფრთხილეზე, არამედ ომის ირაციონალურ შიშზე. მთავარი შეცდომა, ამ შემთხვევაში, არის ის, რომ მშვიდობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ამოცანას მმართველი პარტია შიშის ზღვარზე მყოფი სიფრთხილით ეკიდება, რის ილუსტრაციად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის ემოციური ინტერვიუ, სადაც ის აცხადებს: „რამდენიმე წუთი დასჭირდებათ, რომ მთლიანი საქართველო თავდაყირა დააყენონ“ (ზალკალიანი 2022).

თუმცა, თბილისის „ნორმალიზაციის“ პოლიტიკა ხელს არ უშლის რუსეთს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამი სხვადასხვა სახელმწიფოს არსებობას აღიარებდეს. ამავდროულად, არც უკრაინის შესახებ „ფრთხილმა“ პოზიციამ შეაკავა ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთთან მიერთების საკითხის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება. შესაბამისად, ამგვარი მიდგომა შორსაა ქვეყნისთვის ომის თავიდან აცილების პრაგმატული პოლიტიკისგან, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერიალისტური ხასიათიდან გამომდინარე ამგვარი გარანტიის არსებობა წარმოუდგენელია.

დამოშმინების პოლიტიკის ფარგლებში, და უკრაინაში წარმოებულ სრულმასშტაბიანი ომის შესახებ ომის შიშზე დაფუძნებული ფრთხილი რიტორიკით, მოსკოვის თვალში საქართველო აჩვენებს, რომ ქვეყანა, შეიძლება, მზად იყოს მეტ დათმობაზე წავიდეს ომის თავიდან აცილების საბაბით, ვიდრე უკრაინა. შესაბამისად, თბილისი, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად მოწყვლადი და რუსეთისთვის უფრო მარტივად მანიპულირებადი აქტორი გახდეს რეგიონში. რაღაც გაგებით მთავრობის ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება კიდევ საქართველოს ეროვნულ ინტერესებს (Kakhishvili 2022). ეს პერსპექტივა საქართველოს ვერც კიევისთვის და ვერც კოლექტიური დასავლეთისთვის საიმედო პარტნიორად ნამდვილად ვერ აქცევს.

▪ *შეცდომა 4: შიდაპოლიტიკური მაპოლარიზებელი ნარატივი, როგორც საერთაშორისო გზავნილი*

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა, რასაც მმართველი პოლიტიკური ელიტა უშვებს, არის ის, რომ უკრაინის საკითხის გარშემოც კი ვერ ხერხდება შიდა კონსოლიდაცია და ეს საკითხიც პოლარიზაციის საგანი ხდება.

საქართველოს მთავრობისთვის გაცხადებულად უხერხულ მომენტად მიიჩნევა ის, რომ უკრაინაში მოღვაწეობენ მმართველი პარტიის მთავარ პოლიტიკურ კონკურენტებთან, ენმ-სთან დაკავშირებული ქართველი პოლიტიკოსები. გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ ლიდერები აქტიურად მოიხსენიებენ ენმ-ს „ომის პარტიად“ (თალაკვაძე 2022). ამგვარი იარაღის მიზმა მიანიშნებს იმაზე, რომ მთავრობა ჯერ კიდევ ვერ თავისუფლდება ვიწროპარტიული ინტერესებისგან (Kakhishvili 2022). ეს საკითხი უკრაინასთანაც დამატებითი კონფრონტაციის საგანი ხდება, რაც მთავრობას ურთულებს უკრაინის

ხელისუფლებასთან კონსტრუქციული ურთიერთობების წარმართვას, „ქართული ოცნების“ რიტორიკით, „გვაქვს სამწუხარო მოცემულობა, რომ საქართველოში ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსები უკრაინაში ხელისუფლებაში არიან“ (კობახიძე 2022c). ეს საკითხი კინაღამ გახდა მიზეზი უკრაინაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის ჩაშლისა - თბილისის მხრიდან კიევის მიმართ დადგა პირობები, რომელთა შორის ნახსენები იყო ის, რომ უკრაინის ხელისუფლებაში ქართული ოპოზიციური აქტორები მოღვაწეობენ (კობახიძე 2022b).

ხელისუფლების ამგვარი მაპოლარიზებელი მიდგომა უკრაინის ომის პირობებში გავრცელდა პრეზიდენტის ინსტიტუტზეც, რომლის უკრაინასთან დაკავშირებით აქტიურობას მთავრობის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა და პროცესი კონსტიტუციურ კრიზისში გადაიზარდა (სამხარაძე 2022). პრეზიდენტმა ერთგვარი „საყვედური“ დაიმსახურა ისეთი მნიშვნელოვანი აქტივობების გამო, როგორცაა დასავლური ტურნე, უკრაინის ომის გარშემო საქართველოს პოზიციის განმარტებები საერთაშორისო მედიაში, საქართველოს პარლამენტში უკრაინის ელჩისთვის მასპინძლობა და ა.შ. „ქართული ოცნება“ ამ მოქმედებებს კონსტიტუციური ან რეგლამენტთან შეუსაბამობით ხსნიდა. და ამ პროცესთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოშიც კი წამოიწყო პროცესი, რომელსაც ხშირად კონსტიტუციონალისტები გაუმართლებელ პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევენ.

ამგვარი სტრატეგია მმართველი პარტიის მხრიდან შეიძლება ნეგატიური გზავნილი იყოს როგორც უკრაინის, ასევე დასავლეთის მიმართ, რომ ქვეყნის შიგნით ასეთი გლობალური მნიშვნელობის საკითხზე, როგორც რუსეთის აგრესიას, მკვეთრად დაპირისპირებული შეხედულებები არსებობს და საზოგადოების კონსოლიდაციას მთავრობა არათუ ვერ ახერხებს, ამის კეთილ ნებასაც არ გამოხატავს (თალაკვაძე 2022) და, უფრო მეტიც, ქვეყანაში პოლარიზაციის დამატებით კერებს ქმნის.

დასკვნა

იმ დროს, როცა უკრაინა რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის მოგერიებას ცდილობს და ამ პროცესში მის დასახმარებლად მთელი დასავლეთი უპრეცედენტოდაა მობილიზებული, საქართველოს სჭირდება უკრაინასთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან, მჭიდრო და კარგი ურთიერთობების შენარჩუნება. თუმცა ომის დროს ეს ურთიერთობები შესამჩნევად გაცივდა. საქართველოს დელეგაციის ვიზიტმა ერთგვარი გადატვირთვის ფუნქცია შეიძლება ითამაშოს ორ ქვეყანას შორის, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხელისუფლებამ არ დაუშვას იგივე შეცდომები, რასაც ის ომის დაწყებიდან თითქმის ორი თვის მანძილზე უშვებდა.

სტრატეგიული პარტნიორებისთვის უჩვეულო არაინტენსიური პირდაპირი კომუნიკაცია ომის დაწყების დღიდან და ყოყმანით დაგეგმილი უკრაინული ვიზიტი ქმნიდა საფრთხეს, რომ საქართველო მოწყდა იმ საერთო ბრძოლას რუსული აგრესიის მოსაგერიებლად,

რომელშიც ახლა უკრაინაა. მდგომარეობას აუარესებს კონფრონტაციული ტონი, რომელსაც ხშირად თბილისში ირჩევენ კიევთან ურთიერთობისთვის ომის პირობებში. უფრო მეტიც, საქართველოს პოზიციონირებას მმართველი პარტია პრაგმატიზმის სახელით შიშზე აფუძნებს, რაც თბილისის მოწყვლადობას რუსეთისთვის ზრდის და ქვეყანას არასაიმედო პარტნიორად აქცევს კიევისთვის. და ბოლოს, მმართველი პარტია ვერ ახერხებს ვიწროპარტიული ინტერესებისგან დაცალს უკრაინაზე დისკუსია ქვეყნის შიგნით და საერთო პოლიტიკური კონსოლიდაცია მოახდინოს საკითხის გარშემო, რაც ასევე ნეგატიურ გზავნილად შეიძლება აღიქმებოდეს როგორც უკრაინაში, ისე მის გარშემო მობილიზებულ დასავლეთში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვონ კრამონი, ვიოლა. 2022. “ოცნება” EU-ს კანდიდატობისთვის არაფერს აკეთებს – ინტერვიუ ვიოლა ფონ კრამონთან. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/opinion/603354/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- თალაკვაძე, არჩილ. 2022. დილის საუბრები. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31808222.html> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- კაკაჩია, კორნელი. 2022. დილის საუბრები. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31755557.html> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- კობახიძე, ირაკლი. 2022a. ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად მიუღებელი და გაუმართლებელია - კობახიძე ელჩის გაწვევაზე. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/es-gadawyvetileba-absoluturad-miughebeli-da-gaumartlebelia-kobakhidze-elchis-gawvevaze/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- კობახიძე, ირაკლი. 2022b. უკრაინის ხელისუფლების შეურაცხყოფელი განცხადებების ფონზე ასეთი მოწვევის გამოგზავნა არის არარელევანტური - კობახიძე. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/ukrainis-khelisuflebis-sheurackhmyofeli-ganckhadebebis-fonze-aseti-mowvevis-gamogzavna-aris-ararelevanturi-kobakhidze/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- კობახიძე, ირაკლი. 2022c. „აქედანაც ჩანს, როგორი „ფეიკები“ არიან“ - კობახიძის თქმით, მას არახამიას გათავისუფლება არ მოუთხოვია. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/aqedanac-chans-rogori-feikebi-arian-kobakhidzis-tqmit-mas-arakhamias-gatavisufleba-ar-moutkhovia/>
- ლებანიძე, ზიზინა. 2022. ევროპის გამოღვიძება. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/ka/%e1%83%94%e1%83%95%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%9e%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a6%e1%83%95%e1%83%98%e1%83%ab%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90/>
- მდინარაძე, მამუკა. 2022a. გაუფრთხილებლად შემოიყვანეთ უკრაინის წარმომადგენელი დარბაზში. ეს ინსტიტუტის უპატივცემულობაა - მდინარაძე. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/gauftrkhiblad-shemoiyvanet-ukrainis-warmomadgeneli-darbazshi-es-institutis-upativcemulobaa-mdinaradze/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- მდინარაძე, მამუკა. 2022b. მდინარაძე უკრაინაზე საუბრისას: ლოგიკურია, რომ ვიხილავთ დეზინფორმაციის ახალ კამპანიას. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31788694.html>
- მდინარაძე, მამუკა. 2022c. უკრაინიდან თუ მივიღებთ უკან წაღებულ ერთ სიტყვას მაინც, პაპუაშვილი მზადაა წავიდეს უკრაინაში - მდინარაძე. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/ukrainidan-tu-mivighebt-ukan-waghebul-ert-sityvas-mainc-papuashvili-mzadaa-wavides-ukrainashi-mdinaradze/>
- ოხანაშვილი, ანრი. 2022. ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/anri-okhanashvili-ukrainis-khelisuflebastian-shuamavali-tu-nacmodzraoba-unda-gvyavdes-mshvidobashi-moakhmarot-tu-adeishvili-lortqifanidze-da-skhvebi-kargad-daekhmarebian-albat-a/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- პაპუაშვილი, შალვა. 2022a. არ მგონია, პარლამენტის საგანგებო სხდომა საჭირო იყოს - პაპუაშვილი. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/ar-mgonia-parlamentis-sagangebo-skhdoma-sachiro-iyos-papuashvili/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- პაპუაშვილი, შალვა. 2022b. პაპუაშვილის თქმით, პარლამენტში ზელენსკის მოწვევას არ აპირებენ. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/600620/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- სამხარაძე, ნინო. 2022. მთავრობა პრეზიდენტის პირისპირ: კიდევ ერთი კონფრონტაცია ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში? ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/ka/%e1%83%9b%e1%83%97%e1%83%90%e1%83%95%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%90-%e1%83%9e%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%96%e1%83%98%e1%83%93%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9e%e1%83%98%e1%83%a0/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- ქადაგომილი, ირაკლი. 2022. „მე მგონი ავად არის შალვა“ ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=542343223896881> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;

- დარიბაშვილი, ირაკლი. 2022a. დარიბაშვილი: მივიღეთ გადაწყვეტილება არ შევუერთდეთ რუსეთის წინააღმდეგ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებს. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/gharibashvili-mivighet-gadawyvetileba-ar-shevuertdet-rusetis-winaaghmdgeg-finansur-da-ekonomikur-sanqciebs/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- დარიბაშვილი, ირაკლი. 2022b. 25 თებერვალს ვთქვი, რომ თუ ვინმე დაისჯებოდა ამ ომით, ეს უკრაინა იქნებოდა - პრემიერი. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/25-tebervals-vtqvi-rom-tu-vinme-daisjeboda-am-omit-es-ukraina-iqneboda-premieri/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- დარიბაშვილი, ირაკლი. 2022c. დარიბაშვილი: ვთქვით პირდაპირ, რომ სანქციები არაა ეფექტური და ისიც ვთქვით, ვინ ომობს უკრაინაში? ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/421-4/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- დარიბაშვილი, ირაკლი. 2022d. მიუხედავად გამოწვევებისა და პროვოკაციებისა, შევინარჩუნებთ მშვიდობას - დარიბაშვილი. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/1107-3/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Adams, Paul. 2022. 'Shame on you': How President Zelensky uses speeches to get what he needs. ხელმისაწვდომია: <https://www.bbc.com/news/world-europe-60855280> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Browne, Malachy, Botti David, & Willis, Haley. 2022. Satellite images show bodies lay in Bucha for weeks, despite Russian claims. ხელმისაწვდომია: <https://www.nytimes.com/2022/04/04/world/europe/bucha-ukraine-bodies.html> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Civil.ge. 2022. Georgia Aids Russian Smuggling, Ukraine Claims. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/483628> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- CNN. 2022. February 24, 2022 Russia-Ukraine news. ხელმისაწვდომია: <https://edition.cnn.com/europe/live-news/ukraine-russia-news-02-24-22-intl/index.html> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- CRRG Georgia. 2022. Public Opinion on War in Ukraine, presentation of the phone survey results in Georgian. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=sqjG1sMaXI> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Darchiashvili, Iliia. 2022. ხელმისაწვდომია: <https://twitter.com/iliadarch/status/1512041813665894410> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- GIP. 2022. The End of the War in Ukraine and Risk Assessment for Georgia: Four Scenarios. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/ka/the-end-of-the-war-in-ukraine-and-risk-assessment-for-georgia-four-scenarios/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- GPB. 2022. საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი უკრაინაში. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=MbZX0U8E3cw> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Jones, Stephen. 2022. How Georgia Could Gain from the Russo-Ukrainian War. ხელმისაწვდომია: <https://daviscenter.fas.harvard.edu/insights/how-georgia-could-gain-russo-ukrainian-war> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Kakhishvili, Levan. 2022. Protecting National Interests or Abandoning Strategic Partners? The Georgian Government's Position on Russia's Invasion of Ukraine. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/protecting-national-interests-or-abandoning-strategic-partners-the-georgian-governments-position-on-russias-invasion-of-ukraine/> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- MFA of Georgia. 2022a. საქართველოს მოქალაქეების საყურადღებოდ! ხელმისაწვდომია: http://www.ukraine.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=456&lang=1&NewsID=151816 ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- MFA of Georgia. 2022b. საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ილია დარჩიაშვილი დაინიშნა. ხელმისაწვდომია: <https://mfa.gov.ge/News/sagareo-saqmeta-ministris-tanamdebobaze-ilia-darch.aspx?CatID=5> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- MOF of Georgia. 2022. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://www.mof.ge/News/10065> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- President of Ukraine. 2022. Speeches. ხელმისაწვდომია: <https://www.president.gov.ua/en/news/speeches?date-from=18-04-2021&date-to=18-04-2022&page=9> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;

- Radiotavisupleba. 2022a. ზელენსკიმ საქართველოდან ელჩი გაიწვია კონსულტაციებისთვის. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31730021.html> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Radiotavisupleba. 2022b. 191 ქვეყანას შორის პირველ ადგილზე უკრაინაში გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთით - ფაქტი თუ მანიპულაცია? ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31798779.html> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Radiotavisupleba. 2022c. „გაუგებრობები ამოწურულია“ - რა გაირკვა და რა რჩება გადასაწყვეტი საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობებში?. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31809651.html> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- RFE/RL. 2022. Georgia Sees Chance To Advance EU Aspirations After Kyiv Presses Same Desire. ხელმისაწვდომია: <https://www.rferl.org/a/georgia-eu-application-submission/31732805.html> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Shiels, Conor. 2022. 'We are not our government': Georgians slam Ukraine war response. ხელმისაწვდომია: <https://www.aljazeera.com/features/2022/4/5/we-are-not-our-government-georgians-slam-ukraine-war-response> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- SSG. 2022. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://ssg.gov.ge/news/754/saxelmtsifo-usafitxoebis-samsaxuris-gancxadeba> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Tabula. 2022. პარლამენტი: შალვა პაპუაშვილს ბუჩაში ჩასვლის მოწვევა არ მიუღია. ხელმისაწვდომია: <https://tabula.ge/ge/news/683863-parlamenti-shalva-papuashvils-buchashi-chasvli> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- The Economist. 2022. The war in Ukraine is going to change geopolitics profoundly. ხელმისაწვდომია: <https://www.economist.com/briefing/2022/03/05/the-war-in-ukraine-is-going-to-change-geopolitics-profoundly> ბოლოჯერ ნანახია: 20 აპრილი, 2022;
- UN News. 2022. The UN General Assembly votes to suspend Russia's membership in the UN Human Rights Council. ხელმისაწვდომია: https://twitter.com/UN_News_Centre/status/1512095779535609862?ref_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1512095779535609862%7Ctwgr%5E%7Ctwcon%5Es1_ref_url=https%3A%2F%2Fnews.un.org%2Fen%2Fstory%2F2022%2F04%2F1115782 ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Zelenskiy, Volodimir. 2022a. ხელმისაწვდომია: <https://twitter.com/ZelenskyyUa> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Zelenskiy, Volodimir. 2022b. ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/zelenskiy.official/videos/654652892502821> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Zelenskiy, Volodimir. 2022c. ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/zelenskiy.official/posts/3053237348259954> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022;
- Zourabichvili, Salome. 2022. ხელმისაწვდომია: <https://twitter.com/Zourabichvili/status/1497644268801994755> ბოლოჯერ ნანახია: 21 აპრილი, 2022.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ორგანიზაციის შეხედულებებს.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი და მისი დონორები არ განსაზღვრავენ და შეიძლება არ ემხრობოდნენ და მხარს არ უჭერდნენ წინამდებარე ნაშრომში გაკეთებულ დასკვნებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

ნინო სამხარაძე, „საქართველო-უკრაინის ურთიერთობები ომის დროს: 4 შეცდომა, რომელიც ოფიციალურმა თბილისმა აღარ უნდა გაიმეოროს,“ პოლიტიკის მემორანდუმი #55, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, აპრილი 2022.

© Georgian Institute of Politics, 2022
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge